

ელიტების/ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენა  
საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე

ასმათ ნასყიდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა ეგუტია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
აბსტრაქტი.....	4
შესავალი.....	5
ელიტების/ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე.....	7
ცნების განსაზღვრა.....	7
საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის არსი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი .....	11
მოდელები - საჯარო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი.....	17
ჯ.კინგდონის "დინებების მოდელი" .....	17
ტაისმანის "რაუნდების მოდელი" .....	20
ბაუმგარტნერის და ჯონსის "პუნქტუაციური ეკვილიბრიუმის" .....	20
საბატიეს "მხარდამჭერი კოალიციების მოდელის" .....	21
რის მიხედვით შეიძლება გაერთიანდნენ "მხარდამჭერი კოალიციები" და რის მიხედვით შეიძლება შეიქმნას გარკვეული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ელიტები?.....	23
საჯარო პოლიტიკურ დღის წესრიგში საკითხის ატანისა და ადვოკატორების რამდენიმე ამერიკული მაგალითი.....	27
ღვედების პოლიტიკა.....	27
ამერიკა, პირველი მსოფლიო ომი და პოლიტიკური ელიტის პროპაგანდა .....	29
საკითხის საჯარო პოლიტიკურ დღის წესრიგში ატანისა და ადვოკატორების ქართული რეალობა .....	31
"ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" .....	31
საქართველოს დასავლური იდენტობის ჩამოყალიბების მიზეზები .....	35
ეკლესია როგორც ელიტა - LGBT წარმომადგენლების უფლებები .....	40
დასკვნა.....	47
გამოყენებული ლიტერატურა .....	52

## ტერმინთა განმარტება

*ელიტა:* გამოვყოფთ როგორ პოლიტიკურ, ასევე არაპოლიტიკურ ელიტებს. პოლიტიკურ ელიტაში ვგულისხმობთ გადაწყვეტილებების მიმღები პირების ჯგუფს, ხოლო არაპოლიტიკურ ელიტაში გავლენიან ინტერესთა ჯგუფებს, რომლებსაც სხვადასხვა, ერთმანეთისგან და ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ინტერესები ამოძრავებთ და ფლობენ ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტებს ფინანსური, პიროვნული თუ სხვა ბერკეტის ფლობის საშუალებით.

*საჯარო პოლიტიკა:* ყველაზე მარტივი ფორმულირებით, საჯარო პოლიტიკა - ესაა სამთავრობო მოქმედებების ჯამი, რომლებიც პირდაპირ ანდა სააგენტოების მეშვეობით ხორციელდება და მოქალაქეთა ცხოვრებაზე საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს.

*საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგი:* იმ პრობლემათა ერთობლიობა, რომლებიც საზოგადოებაში არსებული მრავალ საკითხთა შორის გამოიყო და გადაწყდა მასზე რეაგირების მოხდენა მთავრობის მიერ.

*რაუნდების მოდელი, დინებების მოდელი, პუნქტუაციური ეკვილიბრიუმის მოდელი, მხარდამჭერი კოალიციების მოდელი:* საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე გავლენის მომხდენი პროცესების აღმწერი რამდენიმე მოდელია. ისინი კარგად ასახავენ იმას, თუ როგორ ურთიერთქმედებენ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები და ელიტები ერთმანეთთან, როდის მიიღწევა მათ შორის კონსენსუსი და როგორ ხდება მრავალი პრობლემიდან რამდენიმეს გამოყოფა რეაგირების მოსახდენად მთავრობის, ანუ პოლიტიკური ელიტის მხრიდან.

*პრობლემის აქტუალურობის ციკლი:* საზოგადოებაში მდგარი რიგითი საკითხიდან პრობლემამდე ევოლუციის სქემა კარგად გვაჩვენა ენტონი დაუნსმა "პრობლემის აქტუალურობის ციკლით" (Issue Attention Cycle), რომელიც რამენიმე ფაზად დაყო: პრობლემის იდენტიფიკაციიდან და ეიფორიული სიტუაციის შექმნიდან მის მივიწყებამდე საზოგადოების მიერ.

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია თეორიულ მასალასა და საერთაშორისო/ამერიკული მაგალითებზე დაყრდნობით გაანალიზოს გავლენიანი ინტერესთა ჯგუფების/ელიტების არსი და მათ მიერ ზემოქმედების განხორციელების ბერკეტები საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე საქართველოში

ნაშრომის შემუშავების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრა მისი ძირითადი ამოცანები. ნომერ პირველ ამოცანად განისაზღვრა იმის დადგენა, თუ ზუსტად რა განმარტებები არსებობს ელიტის ცნების გარშემო: როგორ გაჩნდა პოლიტიკურ მეცნიერებაში მისი ანალიზი და რა ევოლუცია განიცადა დღემდე; ნაშრომის ანალიტიკურ ნაწილს წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა ავტორების ანალიზის განხილვა ელიტის/გავლენიანი ინტერესთა ჯგუფების არსის, მათი როლის შესახებ საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირების პროცესში. მოხმობილია ისეთი ავტორები, როგორებიც არიან გაეტანო მოსკა, ვიფრედ პარეტო, კლარკ კოჩრანი, თომას დაი, გაი პიტერსი და სხვები. ამავე ამოცანის ფარგლებში განვიხილეთ საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის არსი და მისი ფორმირების შესაძლებლობები. ასევე წარმოდგენილია საჯარო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ის მოდელები, რომლებიც კარგად ასახავენ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის არსებობას სხვადასხვა საჯარო პოლიტიკური მოვლენის გარშემო და მათ ურთერთქმედებას საკუთარი ინტერესების წინ წაწევის მცდელობისას. ამ პროცესების აღსაწერად გამოყენებულია შემდეგი მოდელები: ჯ.კინგდონი "დინებების მოდელი", ტეისმანის "რაუნდების მოდელი", ბაუმგარტნერის და ჯონსის "პუნქტუაციური ეკვილიბრიუმის თეორია" და საბატიეს "მხარდამჭერი კოალიციების მოდელი."

*მეორე ამოცანად* განისაზღვრა ლიტერატურის შერჩევის კრიტერიუმები და შეირჩა ნაშრომები საბოლოო კვლევისთვის. შერჩევის კრიტერიუმები იყო: 1. ინფორმაციის მნიშვნელობა საკვლევ საკითხისთვის; 2. დროის მონაკვეთი: მე-19 საუკუნის ბოლოდან დაწერილი ნაშრომების ევოლუცია დღემდე; 3. ენა: ინგლისური, რუსული და 4. კვლევისთვის საინტერესო საჯარო პოლიტიკური მოვლენები.

მესამე ამოცანად განისაზღვრა ის კონკრეტული საჯარო პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც კარგად ასახავენ ელიტების/გავლენიანი ინტერესთა ჯგუფების ურთერთქმედებას და მათ გავლენას საჯარო პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე.